პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№141 (19483) ◆ სამშაბათი, 18 თებერვალი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲙᲐᲙᲐ XXVII ყრილობის დელეგატს ვალენტინა თევდორეს ახულ ივანოვას ტამბოვის ქარხანა „კომკავშირელში", როგორც იტყვიან, დიდიან-პატარიანად ყველა იცნობს, შეხვედრისას ყველა ესალმება. და ეს სალამი მარტოოდენ თავაზიანობის კი არა, გულწრფელი პატივისცემისა და მოწიწების გამოხატულებაა. ეს გასაგებიც არის: ვალენტინა ივანოვა უკვე ოც წელიწადზე მეტია მუშაობს აქ, უკანასკნელ წლებში კი სათავეში უდგას კოლექტივში ერთ-ერთ საუკეთესო ხარატთა ბრიგადას. მაგრამ ივანოვა მარტოოდენ ამით როდია ცნობილი. მშრომელები მას აფასებენ როგორც რინციპულ, პატიოსან ადამიანს, რომელიც არასდროს არ უღალატებს თავის სინდისს. ტყუილად როდია იგი საამქროს პარტბიუროს უცვლელი წევრი. წარსულ საქალაქო პარტკონფერენციაზე ვალენტინა ივანოვა სკკპ საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს. ამხანაგებს სჯერათ მისი აქტიური, მიზანდასახული მუშაობისა.

ასეთი პარტიელები, რომლებსაც შეუძლიათ დარაზმონ ადამიანები, გაუძღვნენ მათ, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტას, ბევრნი არიან. ამასწინანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე კომუნისტებმა ერთხმულად აღნიშნეს, რომ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მიდწევები მჭიდროდ უკავშირდება პარტიული კომიტეტების ევრთა მარჯვე ორგანიზატორულსა და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას.

სკკპ XXVII ყრილობის სამზადისმა, პარტიის მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად აღებულმა კურსმა, ღონისძიებებმა, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს ინტენსიური განვითარების რელსებზე ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარებას, სახალხო მეურნეობისა და სოციალური სფეროს მართვის ეფექტიანობის გაძლიერებას, აგრეთვე შემდგომი წესრიგის დამყარებას, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის, უმკაცრესი ეკონომიის რეჟიმის განმტკიცების, ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ებრძოლის გზით გადადგმულმა პრაქტიკულმა ნაბიჯებმა ხალხის მორწმუნეობა დაამსახურეს, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვიეს. ეს სასიკეთო გავლენას ახდენს ქვეყანაში მომდინარე პოზიტიურ ძვრებზე. პარტიული კომიტეტების ახლად არჩეულ წევრებს მართებთ დარაზმონ და წარმართონ ადამიანები კონკრეტული საქმეების გადასაწყვეტად, მკაცრად გაუწიონ კონტროლი დასახული ამოცანების შესრულებას, ყოველნაირად წაახალისონ მანები ინიციატივის განვითარება, მაქსიმალურად გამოიყენონ ხალხის შემოქმედებითი უნარი და გამოცდილება.

ცნობილია, წარმატება იმათი ხვედრია, ვინც აწყობილად, ერთსულოვნად მოქმედებს. ასეთი ატმოსფერო უნდა დავამკვიდროთ ყველა არჩეულის ორგანოში. და უნდა დავიწყოთ, უწინარესად, მუშაობის ზუსტი ორგანიზაციით, კომიტეტისა და ბიუროს წევრთა გონივრული განაწილებით მთავარ მიმართულებებზე. საიდუმლო როდია, რომ ხშირად „ჭაპანს ეწევიან" მდივანი და რამდენიმე ამხანაგი. დანარჩენები კი მხოლოდ ესწრებიან სხდომებს ან გამოთქვამენ კეთილ სურვილებს. ოტბისოდენადაც არ უნდა გადავუხვიოთ ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინურ პრინციპს: საკითხთა განხილვა და გადაწყვეტა — ერთობლივი, ხოლო პასუხისმგებლობა — პერსონალური.

დრო უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების საქმიანობის ხასიათს. საჭიროა, საკითხთა საქმიანი განხილვა ეხამებდეს მიღებულ გადაწყვეტილებათა უცილობელ შესრულებას, ნაკლოვანებათა კრიტიკა — მათი სწრაფი გამოსწორებისათვის მზადყოფნას, ინიციატივა — უნარს გაითვალისწინო ადამიანთა აზრი, გამოიჩინო მზრუნველობა მათი მუშაობისა და დასვენების პირობებისათვის. რა თქმა უნდა, ეს თვისებები ყოველდღიური პრაქტიკული მოქმედებით ყალიბდება. მაგრამ არ უნდა ვივიწყებდეთ არც კონკრეტულ მუშაობას არჩეულთან. სწორად იქცევიან იქ, სადაც პირველი ნაბიჯებიდანვე აწყობენ აქტივის სისტემატურ სწავლებას, ინფორმირებას, ისმენენ ამხანაგების ანგარიშგებას ბიუროს სხდომებზე, პლენუმებსა და პარტიულ კრებებზე.

კომიტეტის ან ბიუროს წევრს სულ სხვა თვალით უყურებენ ყოველ კოლექტივში, ყოველ პარტორგანიზაციაში. მას უსწორებენ მხარს, მისგან მოელიან საქმიან, პოლიტიკურ და ზნეობრივ მაგალითს. მის საქციელს უსატყვისებენ თავისას. სწორედ ამიტომ არჩეითი პარტიული ორგანოს წევრისათვის პიროვნული უანგარობა, ინიციატივობა, გულგრძელობა, ნაკლოვანებათა შეგუება. ამის უმცირესი გამოვლინებებიც კი დაუშვებელია. პარტიული ამხანაგობის კანონები გვავალებს ნიადაგ ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კომიტეტისა და ბიუროს წევრთა ურთიერთობაში ერთურთის ნდობა და პატივისცემა ეხამებოდეს დიდ პარტიულ მომთხოვნელობას, პრინციპულ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, მიღწეულის შეუფასებელ შეფასებას. არჩეითი ორგანოს ყოველი სხდომა, ყოველი პარტიული კრება კომუნისტებისათვის უნდა იყოს იდეური და ზნეობრივი აღზრდის სკოლა, სადაც ყველას უმაღლესი სიზუმით უდგებიან, სადაც იპყრობა აზრის სრულქმნილობა, რწმენის სიმტკიცე, ჭეშმარიტი პარტიულობა.

პირველად ორგანიზაციათა პარტკომებისა და ბიუროების აწყობილი მუშაობის მოგვარების საქმეში დიდია ზემდგომი პარტიული კომიტეტების როლი. პარტიის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს მართებთ მეტი ყურადღება დაუთმონ ძირეული აქტივის სიზუსტეს, მხარი დაუჭიროონ მის ინიციატივას, კონკრეტულად დაეხმარონ საქმის ორგანიზაციაში. ისინი მოწოდებულნი არიან ნიადაგ ზრუნავდნენ პირველად ორგანიზაციათა მუშაობაში დამოუკიდებლობის განვითარების, მათთვის მინიჭებულ უფლებათა უფრო სრული გამოყენების უზრუნველსაყოფად. ამის შესახებ ბევრი რამ თქვა განსვლილი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს. და ამის საჭიროების დამადასტურებელ მაგალითებს მრავლად შეიცავენ „პრავდის" მკითხველთა წერილები.

პარტია მოგვიწოდებს გადაჭრით ვიბრძოლოთ, რათა სიტყვა და საქმე ერთი იყოს. ვიბრძოლოთ კრიტიკის იარაღით, საჭიროობის იარაღით, დისციპლინის იარაღით. ამ მიზნით საჭიროა უფრო ღრმად ვიცოდეთ ადგილობრივ საქმეთა მდგომარეობა, ყოველნაირად ვაფართოებდეთ კონტაქტებს ადამიანებთან, ვაუმჯობესებდეთ ინფორმაციებს პარტიული კომიტეტების წევრთა საქმიანობის შესახებ. მასებთან ცოცხალი ურთიერთობა შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ზუსტად. განსაზღვროთ ყველაზე აქტუალური პრობლემები და მათი გადაჭრის ქმედითი გზები. ამის მიღწევაში მნიშვნელოვანწილად დაგვეხმარება კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების საგულდაგულო აღრიცხვა, ანალიზი და რეალიზაცია. საჭიროა, მხარში ვედგეთ და ნიადაგ ვეხმარებოდეთ საბჭოებს, პროფკავშირებს, კომკავშირს, სხვა მასობრივ ორგანიზაციებს. ვიღვწოდეთ, რათა ყოველი მათგანი სრულად ასრულებდეს თავის ფუნქციებს.

იყო პარტიული კომიტეტის წევრი — ეს დიდი ნდობაა. იგი გვავალებს შემოქმედებითად შეავსოთ დაკისრებული საქმე, ვიყოთ სანიმუშო ყველასათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მტკიცე, ურყევი ავტორიტეტი ეფუძნება სკკპ წესდების მოთხოვნების განუხრელ დაცვას, პარტიული მოვალეობის ერთგულებას. საქმის ღრმა ცოდნა, თავდადება, პრინციპულობა, თავმდაბლობა, დიდი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ყურადღებიანი და გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანთა მიმართ — აი მხოლოდ ზოგიერთი კომუნისტის ბევრ უცილობელ თვისებათაგან, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ᲓᲘᲓᲘᲡᲐᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზის საგზაო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის კოლექტივი 1985 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ხუთწლედის მანძილზე შესრულდა 119.466 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ეს მაჩვენებელი 4 მილიონ 689 ათასი მანეთით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს ათითასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ააშენეს საბავშვო ბაღები ცხაკაიაში, ლენინაკანში, ფოთში, სანაინში, საქსპლოატაციოდ გადასცეს წევის ქვესადგურები ერევანში, აჩიგვარაში, კავთისხევში, რკინიგზის სხვა სადგურებში. საგზაო ტრესტის ანგარიშზეა საოლოკომოტივო დეპო სოხუმში, გურჯაანში, თბილისის სახარისხებელ სადგურში, ხაშურის საკაგონო დეპო.

სურათებზე: ტრესტის კოლექტივი ამთავრებს მთავარი მატერიალური საწყობის კეთილმოწყობის სამუშაოებს. კარგად შრომობენ მემონტაჟეები გენადი გაგოლაშვილი და ალექსანდრე ლაფერაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი მურმან ქაფიანიძე, ბრიგადირი სპირიდონ სოლოშვილი და კალატოზი კაზანფარ აბაზოვი.

ი. ᲨᲚᲐᲛᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘ

ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲘ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მშრომელებმა სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავ კომუნისტურ შაბათობაზე 1986 წლის 15 თებერვალს თავიანთი ორგანიზებული, ნაყოფიერი შრომით დაამტკიცეს, რომ ერთსულოვნად იწონებენ სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების პარტიის კურსს, რომ მათ სურთ შეხვდნენ პარტიის ყრილობას ახალი შრომითი წარმატებებით.

კომუნისტური შაბათობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გახდა დედაქალაქის ცხოვრებაში. მას დიდი სახალხო-სამეურნეო შედეგები მოჰყვა. ქალაქის მრეწველობის მიერ დამზადებული პროდუქციის თანხა 2,6 პროცენტით აღემატება წარმოების საშუალო სადღეღამისო მოცულობას. დამზადდა 1250 სატვირთო და მსუბუქი ავტომობილი, 830 მაცივარი, 3540 ტელევიზორი, 1650 რადიომიმღები მოწყობილობა, 32 ათასი საათი, 212 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 1,3 მილიონ კვადრატული მეტრი ქსოვილი, 809 ათასი მანეთის ავეჯი და ბევრი სხვა პროდუქცია.

ნაყოფიერად შრომობდნენ შაბათობაზე მოსკოველი მშენებლები, მათ ჩვეულებრივი ნორმით გათვალისწინებულზე 10 პროცენტით მეტი საიჯარო სამუშაო შეასრულეს. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ქალაქის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო და კულტურულ ობიექტებზე, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

ორგანიზებულად შრომობდნენ დედაქალაქის ტრანსპორტის მუშაკები. მოსკოვის რკინიგზის ტრესტის სამშენებლო ობიექტები განლაგებულია საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ტერიტორიაზე, დონეცკში, გორკში. გრაფიკის გასწრებით მუშაობდნენ რკინიგზელი მშენებლები ფოლადის მაგისტრალების დაგრძელების, ხიდებისა და გვირაბების რეკონსტრუქციის სამუშაოებზე, ააგეს ნაპირსამაგრები.

მომავალი ხუთწლედისათვის დაგეგმილია საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის ფართო პროგრამა.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ

ᲩᲐᲘᲡ ფაბრიკა ერთ-ერთი დიდი საწარმოა ქალაქის ზონაში. მან შარშანდელი სამეურნეო წელი კარგი ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრა. რაც მთავარია, მთლიანად რეალიზებულია დამზადებული პროდუქცია.

ფაბრიკის კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ტყიბულური ჩაის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ხომ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებსა და ინგლისში იგზავნება.

ბოლო ერთი წლის მანძილზე საზღვარგარეთ 120 ტონამდე შავი ბაიხოო ჩაი გაიგზავნა. ახლა ტყიბულელები საზღვარგარეთის ახალ დაკვეთებზე მუშაობენ.

(საკ. კორ.).

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ მოახლოებამ გააქტიურა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მეცადინეობა. რაიონში დროულად დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღის რემონტი. ტრაქტორები კარგ ხანა მინდვრად გავიდნენ. შუა თებერვლისათვის საგეგმო 2700 ჰექტარის ნაცვლად მოხნული იყო 2200 ჰექტარი. საგაზაფხულო სამუშაოებში დაწინაურდნენ ნაფიჩხოვოს მარკესის, ხაბუმის ლენინის სახელობის, ქვედა ჩხოროწყუს, თაიის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობების, კირცხის კოლმეურნეობა-კომბლექსისა და ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მიწათმოქმედები.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთებას ელესყურით მოეკიდა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს კოლექტივი, რომელიც საგანგებო ყურადღებას უთმობს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, იმას, თუ მთ მიერ შეკეთებული მანქანა-ტრაქტორები რამდენად დიდხანს ემსახურება საზოგადოებრივ მეურნეობებს. ამ საქმეში სამაგალითონი არიან ზეინკლები ო. ჯიქია, ო. ბერია, ა. კაკია, გ. ჯიქია და სხვა.

მექანიზატორები გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ „სოფლმომარაგების" ქუთაისის ბაზიდან რაიონს ჯერ არ მოსულა სახნისები, დეფიციტი ბაზდა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" სათადარიგო ნაწილები, ხელის საკრეფი მანქანების დეტალები.

მომარაგების სამსახურს მექანიზატორებთან შედარებით არანაკლები პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ტექნიკის გამართული მუშაობისათვის. **(„კომ." კორ.).**

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲓᲔᲒᲘᲐᲜ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ განვითარებაში მოპოვებული ჩნინებული მაჩვენებლებით აღინიშნეს ხობის რაიონის მშრომელებმა გავლილი წელი და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედი. 1985 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რაიონს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა.

სამშობლოს საპატიო ჯილდოს გადაცემამ მიეძღვნა ხობში გამართული რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მისმა მონაწილეებმა ილაპარაკეს მნიშვნელოვან მიღწევებზე რაიონის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგში — სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკის, სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა სფეროებში. შრომითი კოლექტივების მთელი საქმიანობა მიზნად ისახავდა წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას. ეს პერიოდი აღინიშნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ყველა სახეობის რესურსების რაციონალური ხარჯვის რეზერვების დაუცხრომელი ძიებით და გამოყენებით. შეუნელებელი ყურადღება ეთმობოდა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

ყოველივე ამის შედეგად რაიონის სამრეწველო საწარმოებმა შარშან მნიშვნელოვანი დადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დავალებები და 12,5 პუნქტით გადაამეტეს საკონტროლო ციფრებს. საგრძნობი წვლილი შეიტანეს საერთო მიღწევებში სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მათ უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების უპირატესი ტემპით განვითარება. მაგალითად, სახელმწიფოს მიეყიდა გეგმაზე გაცილებით მეტი ხორცი, რძე, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გადაჭარბებით შესრულდა დაფნის, ციტრუსის, სამინდის, მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების, ხილის დამზადების დავალებანიც.

ფართოდ გაიშალა კაპიტალური მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიცაა ახალი საშუალო და სპორტული სკოლები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, საბრძოლო და შრომითი დიდების რაიონული მუზეუმი და სხვ. სასიკეთო ცვლილებები მოხდა მოსახლეობის სამედიცინო, კომუნალურ, საყოფაცხოვრებო და კულტურულ მომსახურებაში.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი. მან მხურვალედ მიულოცა რაიონის მშრომელებს სამშობლოს საპატიო ჯილდო.

დადებითად შეაფასა რა განვლილ ხუთწლეულში რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგები, ამბ. გილაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა მიღწეულის განმტკიცება და გამრავლება. სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და სფეროს დინამიკური და კომპლექსური განვითარება შეუთავსებელია გულარხეინობასთან. ხობის რაიონში წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების, ხარისხობრივი მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი გაუმჯობესების დიდი რეზერვებია, რომლებიც ჯერ არ გამოიყენება. სწორედ აქ უნდა გამოინახოს ეკონომიკის შემდგომი ინტენსიფიკაციის გზები. დროა უარი ვთქვათ ეგზამების რადაც უნდა დაგვიჯდეს შესრულების მაღალ პრაქტიკაზე. მთელი სამეურნეო საქმიანობა უნდა ემყარებოდეს ზუსტ საგეგმო საფუძველს, თვალსაწინებდეს შრომითი კოლექტივების რეალურ შესაძლებლობებსა და პოტენციალს.

რაიონში არასაკმარისად გამოიყენება სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის ტემპის დაჩქარების რეზერვები და შესაძლებლობები. საკმარისი არ არის მიწათმოქმედების კულტურის დონე, არადამაკმაყოფილებელია დაჭაობებული მიწების დამრობის სამუშაოთა ხარისხი. მუშახელის ნაკლებობით თავის გამართლება, რასაც ასეთ დროს იმიზეზობენ, უსაფუძვლოა. მაგალითად, რაიონში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი შრომისუნარიანი მოქალაქე, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონესა და შესაძლებლობას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას კი არ ახმარს, არამედ უფრო მეტად პირად მეურნეობას. ეი ამიტომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ აღიმანესს ფაქტორის გაკქტორების საფუძველზე მავაღწიოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტენსიფიკაციას. ამასთან ადამიანებს მიზნად უნდა ვუსახავდეთ მაქსიმალურად დაძაბული მაჩვენებლების მიღწევას და შრომისა და ყოფა-ცხოვრების ყველა პირობასაც ვუქმნიდეთ მათ. საჭიროა გავაძლიეროთ დაჩქარების რიტმი, რათა მომდინარე ხუთწლედის დამდეგიდანვე ჩავიყაროთ მყარი საძირკველი ახალ წარმატებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით პ. გ. გილაშვილმა კიდევ ერთხელ გულითადად მიულოცა ხობის რაიონის მშრომელებს დამსახურებული ჯილდო და შეკრებილთა ტაშის გრიალში გადასცა იგი რაიონის წარმომადგენლებს.

შემდეგ გამოვიდნენ პარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ნადარაია, სხვა ორატორები, რომლებმაც მადლობა გადაიხადეს რაიონის მშრომელთა გარჯის ესოდენ დიდი დაფასებისათვის და განაცხადეს, რომ მათ ურყევად აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ მიღწეული, მოიპოვონ ახალი წარმატებები სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. **(საქინფორმი).**

ᲥᲡᲝᲕᲘᲚ ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲠᲯᲚᲝ საკაბეს ეძებს. ქორწილის დღეს ყველაზე ლამაზად უნდა ეცვას. სად შეიძლება შეიძინოს დედოფლისათვის შესაფერისი ქსოვილი? ცხადია, თბილისის შუაგულში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე №41 ქსოვილების მაღაზიაში. აქ მუდამ არის ჰაეროვანი, ნაირფერი აბრეშუმის ნატურალური ქსოვილები — შიფონი და კრეპდეშინი... მათ შორის ის ქსოვილებიც, რომლებსაც პარიზში, ბაზელში, კაიროსა და ბრნოში გამართულ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე საერთო მოწონება დაუმსახურებიათ. თბილისური აბრეშუმი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში მოსწონთ.

ამ ქსოვილებს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ამზადებენ. კარგი შრომითი ტრადიციები დამკვიდრდა ამ საწარმოში. მის კოლექტივს არაერთხელ გაუმარჯვია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და უსახელებია რესპუბლიკა.

გაერთიანების საქსოვ წარმოებაში მონოტონურად გუგუნებენ დაზგები, აბრეშუმის ძაფები ფერად-ფერადი კოქებიდან ცისარტყელასავით ეფინება დაზგას, მერე პეპელასავით მოიჩითება, გაკოხტავდება და ასულთა მშვენიერ სამოსლად იქცევა. ამ ნაზ სამოსელს მასავით ნაზი ქალიშვილების ხელი ქმნის. მათ შორის გახლავთ მქსოველი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი ლეილა კრიხელი.

როცა ლეილა ეკითხე, მანქანა-დანადგარებს შორის ჩაკარგული საშუალო ტანის ქალი დამანახვეს. იგი თურმე ექვს მექანიკურ დაზგას ემსახურება...

— რით დავიწყოთ, ბიოგრაფიით? — მეკითხება იგი.

— არა, გვაინტერესებს, როდის იზეიმეთ პირველი შრომითი გამარჯვება?

— ეს იყო 1963 წელს, როდესაც მეთე ხუთწლედი თითქმის სამ წელიწადში შევასრულე. მთავრობის პირველი ჯილდოც მაშინ დავიმსახურე. ამ წელსვე რესპუბლიკაში პროფესიაში საუკეთესო სახელიც მოვიპოვე.

მაინც როგორ, რა გზით მიაღწიეთ ამას-მეთქი, ვეკითხები.

— ვინმეს შეიძლება წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მთავარი ყოფილა. ვიწყებდი სამსახურში ადრე მოსვლით, ახლაც ასე ვიქცევი; დროულად ვიმარაგებდი მისაქსელს, წესრიგში მოვყავდა დაზგები, ვუფრთხილდებოდი ყოველ წუთს, მერე კი დავოსტატდი და ყველაფერი თვალისა და ხელის სისწრაფეზე გახდა დამოკიდებული. პირველად იმ დაზგას უნდა მიხედო, რომელსაც უფრო მალე ამუშავებ, მერე მეორეს, მესამეს და ასე...

გადიოდა დრო, ბეჯითმა შრომამ სახელი მოუხვეჭა ახალგაზრდას, იგი თბილისის პარტიის კალინინის რაიონული კომიტეტის წევრად აირჩიეს, ახლა კი თბილისის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრიც გახდა. დიახ, სრულიად ახალგაზრდამ ბევრის გაკეთება მოასწრო, ამიტომაც მშობლიურმა გაერთიანებამ მას დიდი ნდობა გამოუცხადა და იგი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

— როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდით ყრილობიდან?

— განუზომლად დიდი შთაბეჭდილებებით. ყოველმხრივ საინტერესო, საქმიანი სჯა-ბაასი იყო. ყველა საკითხის განხილვას ჭეშმარიტად პარტიული პრინციპულობით მიუდგნენ. ახლა საჭიროა მთელი მონდომებით ვიღვაწოთ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის და უთუოდ მივაღწევთ შედეგს. როგორც მსუბუქი მრეწველობის მუშაკს, მეტად მაღელვებს ის საკითხები, რომლებიც ჩვენს დარგს ეხება.

— იქნებ მითხრათ, თქვენ რომ ამ დარგის რომელმე საწარმოს დირექტორად დაგნიშნონ, უპირველესად რას გააკეთებდით?

— ყრილობაზე გვისაყვედურეს, — ამბობს სკკპ ყრილობის დელეგატი, — რომ დარგის ზოგიერთი საწარმოს კოლექტივი საწყობებისთვის მუშაობს, მათ მიერ გამოშვებული ნაწარმი არ საღდება, მომხმარებელი არ ჰყავს. ესე იგი არ სჯერდებათ ეს პროდუქცია. ამაზე მეტი დამამცირებელი და გულსატკენი რა უნდა იყოს ხელმძღვანელისთვის? ხედავს, რომ მოქალაქე გულგრილია იმ პროდუქციის მიმართ, რომელსაც მისი ხელმძღვანელობით უშვებენ. არადა, ამ პროდუქციის დამზადებაში ასობით და ათასობით მუშის, ინჟინრის, ტექნოლოგის, მხატვრის შრომაა ჩაქსოვილი. მე მიმაჩნია, რომ საქმეს უთუოდ მოევლება, თუ ყველა — დირექტორით დაწყებული და მუშით დამთავრებული — თავის საქმეს გულმოდგინედ, კეთილსინდისიერად შეასრულებს, პასუხისმგებლობით მოეკიდება მოვალეობას და არ გააპარებს წუნიან პროდუქციას. აუცილებლად უნდა დაისაჯოს წუნის მკეთებელი. სხვანაირად საქმეს არ მოევლება. რაც მთავარია, ფეხი უნდა ავუწყოთ დროს, გავითვალისწინოთ მომხმარებელთა სურვილები, მოვქსოვოთ და შევკეროთ ისეთი ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი, რომელიც გაახარებს მყიდველს. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტის გამო მიღებულ დადგენილებაში ჩაწერილია, რომ „ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, მისი ტექნიკური და ესთეტიკური მაჩვენებლები, მკვეთრად გაიზარდოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და სფეროში ისეთი ნაწარმის გამოშვება, რომელიც შეესაბამება ეკონომიკის მოთხოვნებს, საბჭოთა ადამიანების საჭიროებებსა და მსოფლიო სტანდარტებს.

სწორედ ეს უნდა გახდეს ჩვენი სამომავლო პროგრამა, მხოლოდ ხარისხიანი პროდუქცია უნდა მივაწოდოთ მომხმარებელს. მაშინ გაიზრდება ჩვენი დარგის ავტორიტეტი და სახელი. ხარისხის გაუმჯობესებას დიდად შეუწყობს ხელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. ჩვენი გაერთიანების კოლექტივი მალე უახლეს ტექნიკით აღჭურვილ მეხუთმეტე დაიდებს ბინას. სამღებრო და გამომყვან საამქროებში დადგმული ახალი ტიპის საქსოვი მანქანა-დანადგარები, სამამულო და უცხოური ტექნოლოგიური ხაზები უზრუნველყოფენ ხარისხიანობას.

საუბარში ჩაგვერია საქსოვი საამქროს უფროსის მოადგილე მირიან ნადარაია.

— ლეილა კრიხელზე უნდა დაწერეთო? საუცხოო ქალიშვილია. შრომისმოყვარეა, მეგობრობაშიც საუკეთესოა.

ჩაირთო ყველა დაზგა და ლეილა კრიხელი ციბრუტივით ტრიალებს თითისტარებთან. მისი თითები უსწრაფესად მოძრაობენ.

სკკპ XXVII ყრილობის დღისათვის მქსოველმა სამი თვის გეგმა უნდა შეასრულოს. გვკერა, უთუოდ მიაღწევს მიზანს!

ლ. ᲥᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ლ. კრიხელი. ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ფოტო.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრული სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპი ყველა სამინისტროსათვის, უწყების, საწარმოსათვის წარმოების რეზერვების მაქსიმალურ ძიებას მთავარ ამოცანად აქცევს, — ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული წარმოების პრო

წერილები პირველადი ორგანიზაციებიდან

ამ დაძაბულ დღეებში

ბასული საანგარიშო პერიოდი ყვარლის რაიონისათვის, შეიძლება ითქვას, გამორჩეული იყო. განსაკუთრებული შრომითი აღმავლობით აღინიშნება ყრილობისწინა პერიოდი, და ეს კონკურეტულად აისახა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე ნათლად გამოჩნდა ყოველივე ეს. ახლა, როცა გაიმართა საქართველოს კომუნისტთა დიდი ფორუმი, როცა ხელი გვაქვს ჩვენი სამოქმედო პროგრამა, განსაკუთრებით საჭიროა იმ პრობლემების გაანალიზება, რომლებიც ხელს გვიშლიდა მუშაობაში. ასეთი გადაუჭრელი საკითხები კი, წარმატებათა მიუხედავად, ჯერ ბევრი გვაქვს.

სოფლის მეურნეობაში, მაგალითად, ჩვენი ძირითადი ნაკლი ის არის, რომ პროდუქციის ზრდის პარალელურად არ იზრდება საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკური მაჩვენებლები და ისინი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან. ამას ბევრი მიზეზი აქვს: თუნდაც უყაირათობა და მოძჭირნეობის რეჟიმის დაუცველობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაუმართლებლად დიდია არამწარმოებლური შრომა, მისი ზრდის ტემპი ბევრად უსწრებს მწარმოებლური შრომის ზრდის ტემპს. ცხადია, ასეთ ვითარებაში ლაპარაკი წმინდა შემოსავლის გადიდებაზე ან მოგებაზე, რაც ეროვნული შემოსავლის ტოლფასია სოფლის მეურნეობაში, ძნელია, რადგან გაუმართლებლად იზრდება პროდუქციის თვითღირებულება. ამას თან სდევს სხვადასხვა ფონდის შემცირება, ამის გამო კი — მეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობაში ისეთივე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მეურნეობათა ფინანსური, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ზრდის საკითხებს. არსებითად ეს პრობლემები ერთმანეთისაგან განუყოფელია.

ახლა ორიოდე სიტყვა პარტიის ვეტერანთა საბჭოს საქმიანობაზე, რომლის თავმჯდომარედაც მე ვარ არჩეული.

რაიონში პარტიის 160-მდე ვეტერანი გვყავს, მუშაობის უკეთ წარმართვისათვის პარტიის ვეტერანთა საბჭოსთან შექმნილია სამი სექცია, რომლებსაც საბჭო თავის საქმიანობაში ეყრდნობა. კარგად მუშაობს საყოფაცხოვრებო მომსახურების სექცია, რომელსაც პარტიის ვეტერანი ა. ჩიკვაიძე ხელმძღვანელობს.

მაგრამ იმასაც კარგად ვგრძნობთ, რომ პარტიის ვეტერანთა საბჭო უფრო აქტიური უნდა იყოს. განსაკუთრებული მნიშვნელობის სადღეისო მოცანად მიმაჩნია ახალგაზრდობას შორის დამრიგებლური მუშაობის ფართოდ გაშლა, პირადი მაგალითის ძალის უფრო ეფექტიანად გამოყენება, ამ გზით ახალგაზრდების აღზრდა სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებად, მათი ძალისმეკის წარმართვა საერთო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ახლა დაძაბული შრომის დღეებია. ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმი — სკკპ XXVII ყრილობა კარს არის მომდგარი. ეს ისეთი დროა, თითოეულ დღეს, საათს რომ ენიჭება მნიშვნელობა, და ეს რაიონის ვეტერანებს კარგად გვაქვს შეგნებული. ჩვენი მოკრძალებული წვლილიც ხომ საერთო საქმეში თავის ადგილს დაიჭერს.

მ. მარდალეიშვილი,
ყვარლის რაიონის პარტიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

გაზრდილი პასუხის-მგებლობით

როგორც ყოველთვის, ახლაც, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ნათლად გამოიკვეთა ყველაზე მთავარი პოზიცია — ზრუნვა ადამიანისათვის, საერთოდ, ხალხის კეთილდღეობისათვის. მომსახურების სფეროზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის გუნება-განწყობილება.

მე ვაჭრობის მუშაკი გახლავართ და ხშირად ვფიქრობ ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე. ბევრი რამ გაკეთდა, პოზიტიური ცვლილებებიც მოხდა ამ დარგში, მაგრამ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, რათა მომსახურების ეს სფერო სრულად აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს. რა დასამალია, რომ ჯერ კიდევ შეინიშნება მომხმარებელთა მოტყუების, სპეკულაციის, გამოძალვის, სახელმწიფო ქონების გაფლანგვის შემთხვევები. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ სათანადოდ ვერ ვმუშაობთ კადრებთან, განსაკუთრებით იმათთან, ვისაც უშუალოდ მომხმარებელთან აქვს საქმე.

უკანასკნელ ხანს სისტემაში საშუშაოდ ბევრი ქალი და ახალგაზრდა მოვიდა, რომელთა პროფესიის დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გარკვეული მუშაობა ხორციელდება. დღეს ჩვენთან დასაქმებულ მუშაკთა ნახევარზე ცოტა მეტი ქალია, დაახლოებით მეოთხედი — ახალგაზრდა მუშაკი. **გაიზარდა** კომუნისტთა და კომკავშირელთა რიცხვი, მაგრამ ეს აშკარად საკმარისი არ არის. პარტიულმა ორგანიზაციამ ამ მიმართულებით მუშაობა არ უნდა შეანელოს. საჭიროა ვეძებდეთ, ვარჩევდეთ კადრებს, ვზრდიდეთ, პარტიულ წრეობას ვაძლევდეთ და ასეთნაირად ვაძლიერებდეთ კომუნისტთა ბირთვს. ჩვენს სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებთან ბრძოლის გზა ასე მესახება: რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაღწიოთ, რომ თითოეული ჩვენგანი ძლიერი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ვაჭრობაში? შეიძლება ითქვას, რომ ვაჭრობის სფერო ყველაზე ნელი ტემპით ეხმაურება მიმდინარე გარდაქმნებს. მთელ რიგ შემთხვევებში ნაკლოვანებანი სწორდება, მაგრამ ნელი ტემპით, ნაკლებად ეზრუნავთ, რათა მომხმარებელმა რაც შეიძლება მცირე დრო დახარჯოს მისაფენ სასურველი საქონლის შესაძენად. ეს იმიტომ, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა საქონლის დაფასოებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჭრობის კულტურა განყენებული ცნება არ არის. ჩვენ საქონლის რეალიზაციას ვემსახურებით. საქონელი კი ხარისხიანი უნდა იყოს. ხარისხი დღეს ის პარამეტრია, რომლითაც ყველა ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობა იზომება და ფასდება. ხარისხის საკვანძო მაჩვენებლებს განსაკუთრებით ჩამორჩენიან რესპუბლიკის ისეთი სამინისტროებისა და უწყებების ორგანიზაციები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ფართო მოხმარების საგნების გამოშვებასთან. უხარისხო საქონელი არ იყიდება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ზენორმატიულ ნამთს.

ჩვენი შრომა იოლი არასოდეს ყოფილა. არც ამ ხუთწლედში იქნება ჩვენი გზა ადვილად სავალი, მაგრამ, რაც მთავარია, დავრწმუნდით, ვაჭრობის და საერთოდ მომსახურების სფერო პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია, და სწორედ ეს და გაზრდილი პასუხისმგებლობა გვესახება ჩვენი შემდგომი წარმატების საწინდრად.

ნ. კაკაძე,
სამტრედიის რაიკოოპუნივერმაღის გამყიდველი, პარტჯგუფორგი.

მარაგდა-ახალქალაქი: ჩამორჩენის დაძლევა შეიძლება

სულ მაღლა მთებში მიიწევს მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაში. მთიანი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე გზის მშენებლობის გეგმები განვლილი ოთხი წლის მანძილზე სრულდებოდა. მწყობრში ჩადგა 50 კილომეტრი სიგრძის მარაბდა-ნადარბაზევის უბანი, დაიწყო მატარებლების მიმოსვლა წყალკმედე. მაგრამ მიღწეული ვერ დავჯერდებით. მიმდინარე წლის მარტისათვის 73-კილომეტრიანი გზის საექსპლოატაციოდ გადაცემის სოციალისტური ვალდებულება ვერ შესრულდა.

ამ დღეებში გზის მშენებლობას გაეცნენ სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ვ. ვ. ფალალაევი და „მთავარრკინიგზამშენის“ უფროსის მოადგილე ნ. გ. ბოიცოვი.

მშენებლობის დაჩქარების, ყველა გეგმისა და სოციალისტური ვალდებულების უთუო შესრულების მიეძღვნა მათი მონაწილეობით გამართული სპეციალური თათბირი.

თათბირზე აღინიშნა, რომ ჩამორჩენის დასაძლევად ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, სხვა სამეურნეო ორგანოებმა ახლო მომავალში აუცილებლად უნდა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებები.

პირობა უნდა შესრულდეს, დასაკვნეს თათბირის მონაწილეებმა, ნაკისი ვალდებულებები არ უნდა დარჩეს ქაღალდზე. ყველრის, ნორმალური მუშაობის ხელშემშლელი ბუნებრივი პირობები, დაუსაბუთებელი დამოწმება გეგმის ჩაშლის, მით უმეტეს, თვით. კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიზეზებად ვერ ჩაითვლება.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ქედიშვილი.

(საქინფორმი).

დიდ გამარჯვებას მიაღწიეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანების მშენებლებმა, მენონტაჟეებმა, დიზაინერებმა, სხვა პროფილის მუშაკებმა. დამთავრდა ამ საწარმოს პირველი რიგის გაფართოება-რეკონსტრუქცია. სახელფლო-სამეურნეო დანიშნულების 20 ათასი ავტომატარებლის გამოსაშვებად ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებით ჩვენი რესპუბლიკა ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს ქვეყნის სახურსათო პროგრამის განხორციელებაში. ეს მიღწევები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაწეული სახელმწიფო, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიზანდასახული და პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული შედეგია.

სურათებზე: ყრილობისწინა შრომითი მეტოქეობის მოწინავენი, მთავარი კონვეიერის ამწყობი ზეინკლები ე. თევდორაძე, გ. ბაბუხადია და რ. სიჭინავა; სახელფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატარებელი „კაზ-4540.

ბ. ბერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



სკკპ XXVII ყრილობის შესაბამისად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

წინადადებანი, მოსაზრებანი

● **მიზანშეწონილად** მიმაჩნია, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მეორე ნაწილის მეხუთე განყოფილების მესამე პარაგრაფის მეხუთე აბზაცში, რომელშიც ლაპარაკია საზოგადოებათმცოდნეთა ამოცანებზე, სიტყვების **„მსოფლიო განვითარების“** წინ ჩაემატოს სიტყვები **„კაცობრიობის ისტორიული წარსული“** და ეს წინადადება ასე ჩამოყალიბდეს: **„საზოგადოებათმცოდნეებმა მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ კაცობრიობის ისტორიული წარსულის, მსოფლიო განვითარების, საბჭოთა კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ახალი საზოგადოების შექმნის გამოცდილების... შესწავლასა და ყოველმხრივ ანალიზს“.** შემდეგ როგორც ტექსტშია.

გ. მჭედლიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
ქ. ქუთაისი.

● **ჩემი** აზრით, კარგი იქნება, თუ სკკპ წესდების პროექტის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტში, სადაც ლაპარაკია პარტიის წევრის უფლებებზე, სიტყვების **„კომიტეტების პლენუმებზე“** შემდეგ ჩაემატოს სიტყვები **„პარტიულ პრესაში“** და ეს წინადადება ასე ჩამოყალიბდეს: **„აკრიტიკებდეს პარტიულ კრებებზე, პარტიულ კონფერენციებზე, ყრილობებსა და კომიტეტების პლენუმებზე, პარტიულ პრესაში ნებისმიერ პარტიულ ორგანოს, კომუნისტს, მიუხედავად იმისა, თუ რა პოსტი უჭირავს მას“.**

ს. პაპასკუა,
აფხაზეთის სსრ განათლების სამინისტროს პარტბიუროს მდივანი.

● **სკკპ** პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მეორე ნაწილის მეორე აბზაცში წერია, რომ „კომუნიზმი არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებანი ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია“. კარგი იქნება, თუ აქ ჩაემატება სიტყვები **„ყველა ერი“** და ეს წინადადება ამგვარად ჩამოყალიბდება: **„კომუნიზმი არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებანი ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, ყველა ერი და საზოგადოების თითოეული წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია“.**

ვ. გოგიბერიძე,
საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი.

ყველას კარგად მოეხსენება, ნამდვილ მევენახეს, რომ იტყვიან, ტანი უგრძნობს ხოლმე, როდის რა უჭირს ვაზს და როგორ უნდა „უშველოს“ ამ მალლიან მცენარეს. ეს შეგრძნება გუშინ და გუშინწინ არ გამოუმუშავდა ქართველ მეზვრეს. ამიტომაც მართლაც შვილივით ზრდის ვაზს, უვლის, ელოლიავება და გულუხვი რთველობისას თავისი ნაჯაფარით ხარობს. მაგრამ განა ერთხელ და ორჯერ ყოფილა ისეთი შემოხვევა, როცა მთელი წლის ნაამაგარი ერთ წუთში გაუნადგურებია სეტყვას? გულს არ იტეხს მეზვრე, მაგრამ ამ კოსმოსის ხანის მეცნიერებზე განაწყენებული კი იტყვის: რა გახდა კაცო, ლამის ჯვარდასაწერად ჩვენი გოგო-ბიჭები მეცხრე ცაზე ავიდნენ და სეტყვას როგორ ვერაფერი მოუხერხეს.

...და მართლაც, რა გახდა ეს სეტყვა?

მოვუხერხებთ, მოვუხერხებთ, რატომაც არა! — მევენახეს იმედის სხივი ჩაუსახეს გულში ჩვენმა მეცნიერებმა. შეუპოვარმა ძიებამ ჩვენი მეზვრეები დაიმედა. მარტო იმედი კი არა, უკვე რეალურია სეტყვის საწინააღმდეგოდ ვენახების კაპრონის ბადით გადახურვის მეთოდი. ასე რომ, არის სეტყვის საწინააღმდეგო ნამდვილი საშუალება, მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის ბევრი წერილანი და მსხვილანი საკითხის მოგვარება სჭირდება. ამიტომაც გადავწყვიტეთ მოგვემინა იმათი მოსაზრება, ვინც ამ საქმეში კომპეტენტურია.

ნოდარ ჩხარტიშვილი — მეცნიერების, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი:

— თავდაზვე ორ ციფრს, მეტად მნიშვნელოვან ორ ციფრს დავასახელებ: 30 ათასს და 150 ათასს. მოდით, გავხსნათ ფრჩხილები, რას ნიშნავს ეს ციფრები: პირველი — ჩვენში საშუალოდ ყოველწლიურად დაზიანებული ვენახების ფართობის აღმნიშვნელია, მეორე ციფრი კი სეტყვისაგან ყოველწლიურად დაკარგული ყურძნის ოდენობაზე მიგვანიშნებს. თუ უფრო ჩავუღრმავდებით, მესამე უფრო მრავლისმთქმელი ციფრის, 70 მილიონი მანეთის დასახელება დამჭირდება. ეს ყოველწლიური ზარალია.

და თუ ამ სამივე ციფრს უფრო კარგად გავშიფრავთ, ბევრ რამეში დავრწმუნდებით. სამივე ციფრი უამრავი მევენახის უკმად დაკარგული შრომის აღმნიშვნელია. რაც მთავარია, გაწბილებულ მევენახეთა გულისწყრომას ვიმსახურებთ ჩვენ, მეცნიერი მუშაკები. მართლაც, ამ მეცნიერულ-ტექნიკური აღმავლობის საუკუნეში სეტყვას რატომ ვერაფერი მოვუხერხეთ? მე მთელი სერიოზულობით მინდა ვუთხრა ჩვენს მევენახეებს და ყველას, რომ ახლა უკვე არის სეტყვის საწინააღმდეგო საშუალება. ეს გახლავთ ვენახების კაპრონის ბადით გადახურვა.

ცდებითა და დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ ღია ცის ქვეშა ვენახებთან შედარებით ბადით გადახურულ ზვრებში უმჯობესდება მიკროკლიმატური და რადიაციული რეჟიმი, აქტიურია ვაზის ფიზიოლოგიური პირობები, მატულობს მცენარის ფოტოსინთეზის პროდუქტიულობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყურძნის მოსავლიანობა ბადის ქვეშ 10-15 პროცენტით მატულობს, ხოლო შაქრიანობა — 1-1,5 პროცენტით. გარდა ამისა, უფრო აქტიურად არ ვითარდება მცენარის დაავადებანი და მავნებლები, ვიდრე ღია ცის ქვეშ. ყოველივეარი სამექანიზაციო საშუშაოები ნორმალურად სრულდება. რაც მთავარია, სეტყვა ვერაფერს აკლებს ვაზს. ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ ბადე სამ-ოთხ წელიწადზე მეტს ვერ ძლებს, რაც გადახურვის სამუშაოებს ართულებს და აძვირებს.

ბადით ვენახების გადახურვის სრულყოფისა და სუბტროპიკული მეცნიერების დაავადებათაგან დაცვის და მოვლა-პატრონობის გამოცდილების გასაცნობად რამდენიმე წლის წინათ იტალიაში ერთად ვიყავით საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ფ. დუღაშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. გვრიტიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ცნობილია, რომ სეტყვა უფრო ხშირად იტალიის ჩრდილოეთ რაიონებში მოდის. აქ დიდი ხნის წინათ სეტყვის საწინააღმდეგო სხვა ღონისძიება იხმარეს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. ბოლოს ვენახებისა და ბაღების ბადით გადახურვა ამჯობინეს. იტალიაში ვენახები, ხილისა და ციტრუსოვანთა ბაღები ბადით არის გადახურული. მარტო ვერონა-მილანის რეგიონში 4.000 ჰექტარი ვენახი და ხეხილის ბაღებია ბადით გადახურული. ამე კი რომ, იქ მრავალწლოვანი ნარგავების ბადით გადახურვა ეკონომიკურად მეტად სარგებლიანია და ფართოდ არის გავრცელებული მთელ ქვეყანაში.

წესით, ბადე იქ 10-12 წელიწადს უნდა ძლებდეს, ფაქტობრივად კი 15-18 წელიწადს ძლებს. კარგი იქნება, თუ ბადის დამზადების მათებურ ტექნოლოგიას ჩვენთანაც გადმოვიღებთ. ეს ეკონომიურიც იქნება და სამუშაოც გაიოლდება და დაჩქარდება. საერთოდ მიმაჩნია, რომ ბოძები და ბადე იმდენ ხანს უნდა ძლებდეს, რამდენ ხანსაც ტექნიკური ვაზის ჯიშები მოგვცემენ მოსავალს. მაშინ საყრდენსა და ბადის გახანგრძლივებაზე ლაპარაკი აღარ იქნებოდა, რადგან ვენახის ამორტიზაციის პერიოდი დაემთხვეოდა ბადისა და ბოძებისას.

აბო ორჯონიკიძე — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს „საქვენახდაცვის“ სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი:

— ჩვენს სამოქმედო რუკას ვინც გაეცნობა, უთუოდ დარწმუნდება, რომ სამმართველოს დიდი და პასუხსაგები სამუშაოები აქვს შესასრულებელი. ჯერჯერობით ვენახების ბადით გადახურვის სამუშაოებს ვასრულებთ ახმეტის, თელავის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონებში. მალე ალბათ კახეთის სხვა რაიონებშიც დავიწყებთ ვენახების ბადით გადახურვას.

სამმართველო სულ ორი წელია ჩამოყალიბდა. ამ ხნის მანძილზე ახმეტის რაიონში ბადით გადახურულია 120 ჰექტარზე მეტი, თელავის რაიონში — 8,3 ჰექტარი, ყვარელში — 14,8 ჰექტარი, გურჯაანში — 14 ჰექტარი. სულ ჩვენს სამოქმედო ზონაში გადახურულია 230 ჰექტარზე მეტი ვენახი.

ბადით ვენახების გადახურვა პირველად უჭირდათ, რადგან ახალი საქმე თავიდან ყოველთვის ნელა და გაუბედავად იწყება ხოლმე. ამიტომაც გადახურვის წინააღმდეგო სხვა ღონისძიება იხმარეს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. ბოლოს ვენახებისა და ბაღების ბადით გადახურვა ამჯობინეს. იტალიაში ვენახები, ხილისა და ციტრუსოვანთა ბაღები ბადით არის გადახურული. მარტო ვერონა-მილანის რეგიონში 4.000 ჰექტარი ვენახი და ხეხილის ბაღებია ბადით გადახურული. ამე კი რომ, იქ მრავალწლოვანი ნარგავების ბადით გადახურვა ეკონომიკურად მეტად სარგებლიანია და ფართოდ არის გავრცელებული მთელ ქვეყანაში.

წესით, ბადე იქ 10-12 წელიწადს უნდა ძლებდეს, ფაქტობრივად კი 15-18 წელიწადს ძლებს. კარგი იქნება, თუ ბადის დამზადების მათებურ ტექნოლოგიას ჩვენთანაც გადმოვიღებთ. ეს ეკონომიურიც იქნება და სამუშაოც გაიოლდება და დაჩქარდება. საერთოდ მიმაჩნია, რომ ბოძები და ბადე იმდენ ხანს უნდა ძლებდეს, რამდენ ხანსაც ტექნიკური ვაზის ჯიშები მოგვცემენ მოსავალს. მაშინ საყრდენსა და ბადის გახანგრძლივებაზე ლაპარაკი აღარ იქნებოდა, რადგან ვენახის ამორტიზაციის პერიოდი დაემთხვეოდა ბადისა და ბოძებისას.

ოთარ დოიენჯაშვილი — ახმეტის რაიონის მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი:

— როცა საპრობლემო თემაზე მიდგება საქმე, ყოველი მოსაზრება ანგარიშგასაწევია. ასე რომ, ჩვენც გულმოდგინედ ვისმენთ ხოლმე იმთა მოსაზრებას, ვინც სეტყვისაგან ბაღ-ვენახებისა და მინდვრების დაცვაზე გულმოდგინედ მსჯელობს. ამ შემთხვევაში ორიოდე სიტყვით მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა ვენახების ბადით გადახურვის დანერგვაზე. ეს ეროვნული საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელს, მჯერა, ჩვენი მეცნიერი მუშაკებისა. ვაზის ბადით გადახურვა ნამდვილად სასარგებლო საქმეა, მაგრამ მას თან ჯერ ბევრი საქმეც ახლავს.

კახეთში სეტყვა ვენახებს ხან აქ, ხან იქ ყოველ წელიწადს დიდ ფართობებზე აზიანებს. ყველა დამერწმუნება, თუ რა ძნელია, საგულდაგულოდ მოვლილ-ნაპატრონები, ყურძნით სავსე ვენახების სულ რამდენიმე წუთში თითქმის მთლიანად განადგურება, მთელი წლის ნაშრომის ასე ერთბაშად დაკარგვა. მართალია, ვამბობთ და გაზეთებშიც იწერება, ჩვენს გამჯე მევენახეებს სტიქიამ გული ვერ გაუტეხა და ვაზს შვილივით უვლიანთ; მაგრამ ეს ხომ ჩვენი მეზვრეების დასამშვიდებლად ხდება. სინამდვილეში ყოველთვის ასე როდია. გულგატეხილობაც არის და გულგატეხილობაც. სტიქიისაგან გამწარებული მევენახე ვაზს გასაჭირში არ ტოვებს, უვლის, დაზიანებულ რქას ჭრილობას უშეებს ხოლმე, მაგრამ აბა იმ წუთებში დასტეხავენ ვენახის მეპატრონეს ფიალებს? ისე ამოიოხრებს ხოლმე ლამის გული თან ამოაყოლოს. ეს იმის ნიშანია, რომ ბევრი გულნატკენი კი არის, მაგრამ მოთმინების იმედს არ კარგავს. მან იცის, რომ ოხვრითა და ვიშვიშით ვერაფერს აკეთებ. ... ...

ფაქტები • მოვლენები
ეროვნული

ვარად შთამომავალთა ხსოვნაში

(დასასრული)

რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და ნიჭიერი მხატვრის დიმიტრი შევარდნაძის დაბადების 100 წლისთავს. მგზნებარე მამულიშვილის, ნიჭიერი ორგანიზატორისა და შემოქმედის ხანმოკლე სიცოცხლე ქართული ეროვნული კულტურის განვითარების სახელოვან საქმეს მიეძღვნა.

ფართოა დ. შევარდნაძის მოღვაწეობის დიაპაზონი. მან დასაბამი მისცა ქართველ მხატვართა საზოგადოებას და უაღრესად აქტიურად მონაწილეობდა მის საქმიანობაში, დააარსა საქართველოს ეროვნული გალერეა, აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის შექმნაში, იყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფუძემდებელი და პირველი დირექტორი. დიდია მისი როლი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების „აღმოჩენასა“ და პოპულარიზაციაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მხატვარმა ქართული სცენოგრაფიის განვითარებაშიც.

თავის ერთ-ერთ წერილში დ. შევარდნაძე წერდა, რომ ორგანიზატორული მუშაობა და საზოგადოებრივი საქმიანობა მას თითქმის არ უტოვებს დროს შემოქმედებისათვის. და, მიუხედავად ამისა, მან დაგვიტოვა მნიშვნელოვანი მხატვრული მემკვიდრეობა. საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც 15 თებერვალს გაიხსნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, წარმოდგენილია 130-მდე მისი ნაშუშევარი.

მხატვრის გარდაცვალების შემდეგ მისი ნაწარმოებების უმრავლესობა კერძო კოლექციებში იყო. მუზეუმის თანამშრომლები მრავალი წლის მანძილზე სიყვარულით აგროვებდნენ დ. შევარდნაძის ნამუშევრებს, ეწეოდნენ მათს რესტავრაციას. ამის შედეგად ახლანდელ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მეტი წილი იმისა, რის შექმნაც მხატვარმა მოასწრო ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე: პორტრეტები, ნატურმორტები, გრაფიკული ფურცლები, თეატრალური დადგმების, პირველი ქართული კინოფილმების ესკიზები. ექსპოზიციას ავსებს შუა საუკუნეთა ქართული კედლის მოხატულობის პირები.

ვერნისაჟზე გამოსულებმა ილაპარაკეს დ. შევარდნაძის ცხოვრების გზის, ქართული საბჭოთა კულტურის ისტორიაში მისი წვლილის შესახებ, აღნიშნეს, რომ საიუბილეო გამოფენა, რომელიც არსებითად მხატვრის ნამუშევრების პირველი ექსპოზიციაა, საშუალებას მისცემს ფართო საზოგადოებრიობას გაეცნოს ამ საინტერესო ხელოვნის შემოქმედებას.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე.

(საქინფორმი).

ექსპრეს-ინფორმაცია

სიტყვა-ვალდებულება შესრულებულია

საქართველოს სსრ გამსახკომისა და მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერნის“ კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სკკპ XXVII ყრილობის დასასრულ 25 თებერვლისათვის, შეესრულებინა ორი თვის — იანვარ-თებერვლის გეგმა უმთავრესი მაჩვენებლებით: ფურცელ-ანაბეჭდებისა და რეალიზაციის მიხედვით.

გიპატაკებთ, რომ ეს ვალდებულება „მერნის“ კოლექტივმა ვადაზე ადრე — 14 თებერვლისათვის შეასრულა გადაჭარბებით: ფურცელ-ანაბეჭდების გეგმა 105 პროცენტით, რეალიზაციისა — 108 პროცენტით.

გამომცემლობა „მერნის“ დირექტორი გურამ გვერდწითელი, პარტიიუროს მდივანი შანდ რიჟინაშვილი, პროფკომიტეტის თავმჯდომარე მზია ჩხაიძე.

• • •

ამ პატაკთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა სახელდაბალო ინტერვიუ სთხოვა გამომცემლობა „მერნის“ დირექტორს, მწერალ **გურამ გვერდწითელს.**

— გილოცავთ წარმატებას, საყრილობო ვალდებულების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას. რამ განაპირობა ეს შედეგი?

— ჩვენი წარმატება განაპირობა ბ ბ ბ

რესტორანი და მისი სტუმარი

ᲧᲝᲕᲔᲚ გადაჭარბებასა და უზომობას ზიანი მოაქვს, ცხადია, ეს უწინარესად ითქმის სპირტიან სასმელებზე. ყველა ის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებიც ახლა ჩვენში ხორციელდება ლოთობისა და ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, მუშა კაცის ჯანმრთელობას ემსახურება, ადამიანზე ზრუნვას ისახავს მიზნად.

დღეს, ჩვენდა სასიხარულოდ, ნებისმიერ რეგიონში შეიმჩნევა სმის მოყვარულთა რიცხვის შემცირების ტენდენცია, ამას ხელს უწყობს ბევრი ღონისძიება, რომლებსაც სხვებთან ერთად ვაჭრობის ორგანიზაციებიც ახორციელებენ.

მართალია, სპირტიანი სასმელების ვაჭრობის შეზღუდვამ ერთგვარი გავლენა მოახდინა შესაბამისი ობიექტების გეგმების შესრულებაზე, მაგრამ გამოსავალს მოქნილი ღონისძიებებით, ახალი მეთოდებით, რეზერვების ძებნით პოულობენ.

ამის ნათელ სურათს იძლევა რესტორან „დარიალის“ მუშაობის გამოცდილება. იგი სისტემატურად ასრულებს გეგმებს და ფრიად პოპულარულია, რადგან დღის პირველ ნახევარში მუშაობს, როგორც ღია სასადილო. თვითმმსახურების წესით ხდება ანგარიშსწორება სალაროს საკონტროლო აპარატთან. ახლახანს გაიხსნა ნახევარფაბრიკატების განყოფილება,რითაც მომხმარებელი კმაყოფილია. რესტორნის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, მოწყობილობა კარგ მუშაობასთან ერთად ხელს უწყობს სტუმართა სიმრავლეს.

ჩვენ კი გვსურს ყურადღება გავამახვილოთ საზოგადოებრივი კვების ისეთ ობიექტზე, რომელსაც ტერიტორიული უპირატესობა არა აქვს, მაგრამ თავს არომეკს საქმეს ახალ პირობებში, მუშაობს ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ავიღოთ რესტორან „არაგვის“ მაგალითი. მას არც ხუთწლიანი და არც ბოლო წლის გეგმა შესრულებული არა აქვს. რესტორნის ახალი ხელმძღვანელობა (დირექტორი გ. მეფარიშვილი აქ ხუთი თვეა მუშაობს) ცდილობს საშემესრულებლო დისციპლინის გახმტკიცებას და მომსახურების კულტურის ამაღლებას, ვერ ვიტყვით ქვეყანა ააშენაო, მაგრამ ასეა თუ ისე, ცდის შედეგი ჩანს. სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და მიმდინარე წლის იანვრის გეგმები შესრულდა. ნაკლი და ხარვეზი მაინც აქვთ. საქმე ის არის, რომ აქ ვაჭრობის ორგანიზაციისა და კულტურის გაუმჯობესებას მრავალი ხელისშემშლელი პირობებიც აქვს.

უწინარესად ის უნდა ითქვას, რომ შენობა ამ შუა ზამთარში აცივებს, ამიტომ რაღაც იძულებით მიზეზი თუ მოიყვანს აქ კაცს პურის გასატეხად, თორემ რაგინდ საუკეთესო საფირმო კერძებიც უნდა შესთავაზონ მომხმარებელს, საქმეს მაინც არ შველის.

რესტორანში მომხმარებელთა მოსვლას ხელს უშლის აგრეთვე უტრანსპორტობა. „არაგვი“ ისეთ ადგილზეა, არავითარი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მის მახლობლად არ გადის და არ ჩერდება. ამიტომ იშვიათად თუ შემოიხედავს ვინმე აქ შესვენების საათებში სასაუზმოდ ან სასადილოდ.

როგორც აღვნიშნეთ, ბოლო ხანს გეგმები მაინც სრულდება. ეს იმის შედეგია, რომ რესტორანში მრავალფეროვანი ღონისძიებები ხორციელდება, კერძოდ ვაჭრობის სამინისტროსა და ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს თანხლებით შემოღებულია ეროვნულ სამზარეულოთა გაცვლის პრაქტიკა, მაგალითად, სექტემბერში ყაზახეთის რესპუბლიკიდან მოიწვიეს ქალაქ ალმა-ათის რესტორან „ისკრას“ კოლექტივი, რასაც უინტერესოდ არ ჩაუვლია და, რაც მთავარია, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ ღონისძიებამ პირველად უზრუნველყო რესტორნის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულება.

ცხადია, დადგენილების შემდგომ საგრძნობლად შეიზღუდა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა. მაგალითად, თუ აქრე ერთ კაცზე განუსაზღვრელად, 3-4 ბოთლი ღვინო იყიდებოდა, ამჟერად მხოლოდ ერთი ბოთლი ღვინო და 100 გრამი არაყი იყიდება, ხოლო ნასვამ მომხმარებელს საერთოდ არ უშვებენ რესტორანში.

ახალგაზრდობისათვის ცალკე გამოყვეს მყუდრო ადგილი, გახსნეს კაფე-ბარი თავისი დიდი ვიდეოფილმოთეკით (თუმცა ამჟერად იგი გაფუჭებულია და არ მუშაობს). აქ იყიდება უალკოჰოლო სასმელების ფართო ასორტიმენტი — კოქტეილები, შვიდნაირი წვენები, ნაყინი, ყავა და მინერალური წყლები, მაგრამ კაფე-ბარს სტუმარი ნაკლებად ჰყავს.

სანახაობრივი კულტურის ამაღლების მიზნით რესტორანში იწვევენ სხვადასხვა ქალაქის მხატვრულ კოლექტივებს. ამჟამად მოწვეულია სოხუმის ფილარმონიის ვარიეტე. პირველი მარტიდან გათვალისწინებულია როსტოკინის ფილარმონიის მოწვევა, შემდეგ —მოსკოვის ბოშათა ანსამბლისა და ა. შ. ასეთი კოლექტივების მოპატიჟება და პროგრამების გაწახლება რესტორანში ორ თვეში ერთხელ ხდება.

საუკეთესო ფორმაა აგრეთვე ეროვნული სამზარეულოების გაცვლაც, მაგალითად, პირველიდან ცხრა თებერვლამდე აქ საბანკეტო დარბაზში უნკრული სამზარეულის დეკადა მიმდინარეობდა, რამაც გაზარდა საქონელბრუნვა, როგორც იტყვიან, რესტორანმა ამოისუნთქა. სპასუხო ვიზიტად „არაგვის“ წარმომადგენლები მალე ესტუმრებიან ბუდაპეშტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღესასწაულისწინა დღეებში რესტორანი აწყობს კულინარული ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების საქალაქო გამოფენა-ვაჭრობას. მაგალითად, საახალწლო დღეებში ამ სახის ნავაჭრმა 2600 მანეთი მოუტანა რესტორანს.

საინტერესოდ ჩაიარა 31 დეკემბერს მოწყობილმა ოჯახების საახალწლო შეხვედრამ. წინასწარ გაიყიდა „მოსაწვევი ბარათები, სადაც აღნიშნული იყო საღამოს პროგრამა და მენიუ. მოიწვიეს 80-მდე ოჯახი — 300 კაცი. უკლებლივ ყველა მოვიდა, საღამომ მხიარულად ჩაიარა. ამ დღეს რესტორანმა 14 ათასი მანეთი ივაჭრა.

მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით პირველ სართულზე მოწყობილია სასადილო — „მარანი“, რომელიც 10-დან 22 საათამდე მუშაობს. ეროვნული კერძები, წვენები, ცხელი სასმელები იყიდება არა რესტორნის მაღალი დარიცხვით, არამედ იაფად, ხელმისაწვდომ ფასებში. მიუხედავად ამისა, კანტიკუნტად თუ შემოიხედავს სტუმარი.

„არაგვის“ კოლექტივი ცდილობს მოიზიდოს მომხმარებელი. საფირმო კერძების დამზადებით გაზარდა ასორტიმენტი, ეზოში მალე გახსნის პავილიონს, სადაც გაიყიდება ხაჭაპური, ლობიანი, სხვადასხვა ღვეზელი, წვენები, ნაყინი. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებებიც, მაგრამ იმისათვის, რომ გეგმების შესრულება სტაბილური გახდეს, ამაღლდეს მომსახურების კულტურა, აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, შენობის კაპიტალური რემონტი, გარე განათების მოწყობა, „არაგვის“ გვლით ავტობუსის რომელიმე გაჩერტუტის ან სამაჩერტუტო ტაქსის დანიშვნა. ეს ღონისძიებები დაეხმარება კოლექტივს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაში, დავალებების წარმატებით შესრულებაში.

ქალაქში უნდა გაფართოვდეს საზოგადოებრივი კვების ღია ქსელი. ამ საკითხის მოსაგვარებლად მიღებულია ღონისძიებები. მიმდინარე წელს ქალაქის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით საგაზაფხულო და საზაფხულო პერიოდისათვის გათვალისწინებელია ქალაქში ღია ტიპის კაფე-პავილიონების ჩადგმა. კარგი იქნება, თუ ერთი ასეთი პავილიონი დაეთმობა რესტორან „არაგვს“ კულინარული ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების სარეალიზაციოდ. ეს დიდად დაეხმარებოდა კოლექტივს გეგმების სტაბილურად შესრულებაში.

რამდენადაც ჩვენი წერილი დადებითი გამოცდილების განზოგადებას ისახავს მიზნად, ამჯერად ნაკლოვანებები წინ არ წამოგვიწევია. ხარვეზები, ცხადია, აქაც არის. არის სიგნალები, როცა შეკვეთით მოწყობილი ქორწილების, საოჯახო სადილების ან ხალხმრავალი ღონისძიებების გამო უყურადღებოდ ეკიდებიან ცალკეული პირების მომსახურებას. ქალაქის საჯკვების ობიექტებში იშვიათად ეწყობა მასობრივი ღონისძიებები კულტურულ-მასობრივი პროგრამის თანხლებით, ახალგაზრდული შეხვედრები, თემატური საღამოები და ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ფართოდ მოიზიდავდა სტუმარს, რესტორანს აქცევდა მყუდრო დასვენებისა და მხიარული თავშეყრის ადგილად. ყველა ეს ნაკლი ახასიათებს „არაგვსაც“. ახალგაზრდული კაფე-ბარის, „მარანის“ გახსნა უწინარესად მასობრივი ღონისძიებების მოწყობასაც გულისხმობს. ამ მხრივ საქმე რიგზე რომ იყოს, მუშტარი საძებარი არ ეყოლებათ. ამას გარდა, როგორც ჩანს, აქაც მეტ ყურადღებას აქცევენ შეკვეთით მოწყობილ ქორწილებს, ხსოვნის საღამოებს. ფართოდ უღებენ კარს ხალხმრავალ წვეულებებს, რისფასიაც ჭიდგამმა ორგანოებმა ამას წინათ პასუხი მოსთხოვეს რესტორნის ხელმძღვანელობას. მდგომარეობის გამოსწორებას იმით აპირებენ, რომ საოჯახო რიტუალების სუფრის წევრთა რაოდენობა 50 კაცს არ აღემატებოდეს.

ჩვენი აზრით, რესტორნის მუშაობა ისე უნდა გარდაქმნას, რომ იგი გონივრული დასვენების კერად იქცეს, რომ მშრომელ ადამიანს რესტორანში მიუხაროდეს.

Ლ. ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲘ,
თბილისის რესტორნების ტრესტის ინჟინერ-ტექნოლოგი;

Ე. ᲗᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სიფიზიოლასათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი;

Ნ. ᲜᲝᲠᲐᲙᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ კორ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კერამიკული კომბინატის კოლექტივი ღირსეულად ხვდება XXVII ყრილობას. საწარმოს მრავალმა მუშამ მნიშვნელოვნად გაუსწრო დროს, მიმდინარეობს მიზანდასახული მუშაობა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კარგი შედეგი მოაქვს შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მომჭირნეობისათვის ბრძოლას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: კერამიკული საამქროს ჩამომსახურებელთა ბრიგადის ხელმძღვანელი, პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის ბიუროს წევრი, კომბინატის სახალხო კონტროლის წევრი ეთერ მამფორია ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პროფესიაში, იგი ახლა 1987 წლის ანგარიშში შრომობს და ღირსეულად ხვდება ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲘᲫᲘᲡ ფოტო.

კიდევ ერთი გამარჯვება

ᲨᲔᲯᲐᲛᲓᲐ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების საკავშირო დათვალიერების შედეგები. დათვალიერების დიპლომებით აღინიშნა საქართველოს ოთხი თეატრალური კოლექტივის ნამუშევრები. ეს არის — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი სპექტაკლისათვის „ასერგასის დღე“ მ. კვესელავას ნაწარმოების მიხედვით, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი სპექტაკლისათვის „ვარსკვლავთცვენა“ ო. ოსელიანის პიესის მიხედვით, ჭითუნის აკაკი წერეთლის სახელობის დრამატული თეატრი ვ. აროს სპექტაკლისათვის „უმაღლესი ზომა“ და ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი სპექტაკლისათვის „ჩვენებურები“ მ. ჯაფარიძის პიესის მიხედვით. (საქინფორმი).

საქართველოს თეატრების საყრილობო გადაქახილი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ გრძელდება რესპუბლიკის თეატრების საუკეთესო ნამუშევრების დათვალიერება, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას ეძღვნება. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის ა. ჩხაიძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლით — „მიღების დღეს“ — დაწყებული სასცენო ხელოვნების დღესასწაული ადასტურებს, რომ რესპუბლიკის თეატრები ერთგულობენ თანამედროვე თემას. აღძრავენ რა სპექტაკლებში თანამედროვეობის რთულ ცხოვრებისეულ პრობლემებს, შემოქმედებითი კოლექტივები ცდილობენ მისცეს მათ ზნეობრივი შეფასება, გვიჩვენონ ჩვენი დღეების კომუნისტის საუკეთესო თვისებები... განსაზღვრის სულისკვეთება, რომელიც პარტიას შეაქვს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ინიციატივა და პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი — აი, ალბათ, მთავარი, იდეური მომართულება დათვალიერებაზე უკვე ნაჩვენები მეტი წილი დადგმებისა.

სწორედ ამ პოზიციიდან მიუდგა ა. გელმანის პიესის — „პირისპირ“ — ინტერპრეტაციას თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი თ. ჩხეიძე.

მაყურებელთან თეატრის დიალოგის თვისებური განგრძობაა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლი — „ჯინცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით“, რომელიც მწერალ ა. ჭიჭინაძისთან თანამეგობრობით დაწერილი პიესის მიხედვით დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რ. სტურუამ. რუსთაველელები შეეცადნენ პასუხი გაეცათ კითხვაზე, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ხელმძღვანელი, რომელსაც პარტია, ხალხი ანდობენ ხელისუფლებას, რომელსაც აკისრია დიდი მისია განაგებდეს ადამიანთა ბედს...

ა. ჩხაიძის პიესები გვიზიდავს აღძრული პრობლემების აქტუალურობით, მოქალაქეობრივი ღელვარდობით. მათ დგამს ქვეყნის ბევრი თეატრი და ყრილობისწინა აფიშაზე ეს დრამატურგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორია.

მისი შემოქმედება წარმოდგენილია პიესებით „მიღების დღეს“ („სამოდან ექვსამდე“), „ჩინარის მანიფესტი“, „ოქროს თევზი“.

„ჩინარის მანიფესტი“ დადგა თბილისის რუსულმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა. მსახიობთა ანსამბლმა დამდგმელის, თეატრის მთავარი რეჟისორის ნ. ჯანდიერის მეთაურობით შეძლო შეექმნა მკაფიო პუბლიცისტური წარმოდგენა, რომლის დგმაში — ახალგაზრდა სავაციალისტმა გადაწყვიტა მთელი თავისი ენერგია მოახმაროს შშობლიურ სოფელს, ხალხს სამსახურს. ერთგულება მთავარი თემისადმი — ადამიანი და საზოგადოება — კვლავ დაადასტურა რუსთაველ თეატრმა, რომელმაც დადგა სპექტაკლი „ოქროს თევზი“.

და, რა თქმა უნდა, რესპუბლიკის თეატრებმა პატივი მიაგეს ნ. დუმბაძის შემოქმედებას, რომლის ნაწარმოებების წყალობით თანამედროვე გმირების მთელი გალერეა შეიქმნა ქართულ სცენზე. თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხურმა თეატრმა მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანა „მარადისობის კანონი“, მახარაძის ა. წულუკიძის სახელობის თეატრი მაყურებელს უნვენებს „მე ვხედავ მზეს“, ხოლო ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი — „კუკარაჩას“.

დათვალიერება დამთავრდება 21 თებერვალს სპექტაკლით „ჩინარის მანიფესტი“, რომელსაც წარმოადგენს აფხაზეთის ს. ჯანბას სახელობის დრამატული თეატრი. (საქინფორმი).

ᲥᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ „ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲛ“

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ მოსკოვის გამომცემლობა „პლანეტამ“ გამოსცა დიდტანიანი ფოტოალბომი, რომელიც ასახავს ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ზურაბ წერეთლის შემოქმედებას.

ტექსტის ავტორია ო. შვიდკოვსკი, რეცენზენტები — ვ. ბერიძე, ი. ბორევი, ნ. ჯანბერიძე, მაკეტი და მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მ. ანიკსტს. ფოტოგრაფია ა. ლიბერმანი.

ფოტოალბომი მკითხველს აცნობს ქართველი მხატვრის სინტეზურ შემოქმედებითს გზას, მისი ნაწარმოებების შექმნის საიდუმლოებას, მონუმენტალისტი ხელოვნის ჩამოყალიბების თავისებურ მხარეებს.

ალბომი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, იგი ორენოვანია (რუსული და ინგლისური), ტირაჟია 20.000 ეგზემპლარი.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

**ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-08, 99-08-09, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲚᲚᲔᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 98-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲐᲜᲡᲠᲢᲘᲡ — 98-20-34, ᲡᲐᲒᲐᲠᲗᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ — 98-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲐᲒᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 98-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ — 98-22-93, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 98-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ — 98-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 98-95-24.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 290-68-47; ᲡᲝᲩᲘᲡᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ — 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40, ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲧᲘᲚᲘᲗᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 8-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲑᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ — 25-82.

დედის ნაამბობი

ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ ᲑᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚ ᲓᲦᲔᲗᲐ

— დაიწყო ომი, და კოკას წერილები შეწყდა. სამი წლის განმავლობაში მისი არაფერი ვიცოდით, სად არ გავგზავნეთ შეკითხვა, მოგვდიოდა ერთი და იგივე პასუხი — უგზოუკვლოდ არის დაკარგულიო. მოგეხსენებათ, მაშინ რა მძიმე პერიოდი იყო, ყველას უქირდა, ოჯახი არ იყო, ფრონტზე შვილი ან ახლობელი რომ არ ჰყოლოდა. იმხანად აქტივისტი ვიყავი, რამდენჯერმე დეპუტატად ამირჩიეს. სამუშაოდან თავისუფალ დროს ევაკოჰოსპიტალში ვმორგეობდი, მაშინ ხომ ბორჯომის დასასვენებელ სახლებში ყველგან ევაკოჰოსპიტლები იყო მოწყობილი. დაჭრილებს ისე ვუვლიდი, როგორც საკუთარ შვილებს. რამდენი დასახიჩრებული ახალგაზრდა მინახავს, ვინ მოთვლის. გული დარდით მქონდა სავსე, მაგრამ მაინც იმედი მქონდა, იქნებ ჩემი კოკას ამბავი შევიტყო-მეთქი.

და, მართლაც, 1943 წლის შემოდგომაზე „კოკას წერილი მივიღეთ, — სამკუთხა ბარათებში ის სანუკვარი წერილი გამოარჩია და მომაწოდა: „1943 წ. 10/IX. მოკითხვა მშობლებს, ძვირფას იგორს, ევგენიას. მე ჯერ ვერ მოგწერთ, სად ვიყავი. ცოცხალი ვარ, ვიბრძვი გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. სანამ მაგათ ჩვენი მიწა-წყლიდან არ გავაძევებენ, ვიბრძოლებ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ვიმყოფები პარტიზანებთან. გთხოვთ გამომიგზავნოთ რაიკომიდან ცნობა, რომ ნამდვილად ვიყავი „კომკავშირელი. ჩემი მისამართია: სველი ფოსტა 92835, მეთაური ამხ. სტეფოვი, ბრიგადა „საბჭოთა ბელორუსიისათვის“, ამხ. პ. მ. რომანოვს, შჩორსის სახელობის რაზმი, ნ. ვ. „რავცოვი“.

ეს იყო და ეს, მეტი ოჯახს მისგან წერილი აღარ მიუღია. 1944 წლის მარტში ვინმე ნიკოლოზ პაშკოვმა პარტიზანული რაზმის სახელით წერილი გამოუგზავნა კოკას მამას. იგი იწერებოდა ნიკოლოზ კრავცოვის გმირულად დაღუპვის ამბავს. „კოლია ყველა ჩვენგანისათვის სამაგალითო მეომარი და მეგობარი იყო. მას ადრეც ვიცნობდი. ომამდე ერთ ნაწილში ვმსახურობდით. ერთად მოგვიხდა ბრძოლები მინსკში, ვიტებსკში, ველიეში. ჩვენ გავხდით სახალო შურისმაძიებლები. მტერს სამაგიეროს ვუხდიდით ჩვენი ქვეყნის აოხრებისათვის, უდანაშაულო ადამიანთა წამებისათვის. კოლია უშიშარი მებრძოლი იყო. იგი თავად ირჩევდა ყველაზე სახიფათო დავალებას, ამიტომ ბრძოლებში ხარობდნენ შვილის წარმატებით, მაგრამ მის წერილებში იგრძნობოდა მოახლოებული ომის საფრთხე, ერთ-ერთ ბარათში მამას სწერდა: მალე დასავლეთ ბელორუსიაში წავალო. ჩემი ნაწილი უკვე გაემგზავრა გერმანიის საზღვარზე, 6 მაისს მივდივართ ქ. გროდნოში, ლატვიასთან ახლოს არის. ისე კი, ვგრძნობ, „სალხინოდ“ არ მივდივართ, დისკო უკვე საბრძოლო ტყვეებით გვაქვს სავსე. აქამდე სტუდენტი კოკა, ახლა ფიფილი მებრძოლია. მას უკვე შეუძლია ყოველგვარ ბრძოლაში მტრებს შეებრძოლოს, და თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც შესწიროს მტერზე სრული გამარჯვების მიღწევამდე“.

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ გულთბილად შემხვდა, ოთახში შემიძღვა და საგანგებოდ შეხვეული სამკუთხა ბარათები მომაწოდა.

— აი, შვილო, თავად წაიკითხე, როგორი იყო ჩემი კოკა, — მითხრა და ცისფერ თვალებში ცრემლები აუბრწყინდა. გალიმება სცადა, სტუმარი ვიყავი და არ უნდოდა თავისი დარდით შევეწუხებინე.

— ორმოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ჩემს შვილს რა დამავიწყებს, მოუკვდა იმას დედა, როგორ უცოლ-შვილოდ. გიუხარელ წავიდა ამ ქვეყნიდან. აი მისივე ავტობიოგრაფია, — გაყვითლებული ფურცელი გამომიწოდა. „მე, ნიკოლოზ ვასილის ძე კრავცოვი, დავიბადე 1922 წლის 18 თებერვალს სოფელ ახალდაბაში (ბორჯომის რაიონი) მუშის ოჯახში.

მამაჩემი — ვასილ მაქსიმეს ძე კრავცოვი სკკპ (ბ) წევრი 1919 წლიდან, საქართველოში იყო დაბადებული, მუშაობდა ახალციხის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ხეინლად. დედა — პელაგია ნიკოლოზის ასული გოგოლაძე-კრავცოვა — დიასახლისია. 1924 წელს მამაჩემის ბორჯომში სამუშაოდ გადასვლის გამო, საცხოვრებლად იქ გადავედით.

წერა-კითხვა შევისწავლე ოჯახში, დედის დახმარებით, შემდეგ კი 1929 წელს სასწავლებლად შემიყვანეს ბორჯომის ქართულ საშუალო სკოლაში. 1938 წელს გავხდი კომკავშირელი. 1939 წელს წარმატებით დავამთავრე ბორჯომის I საშუალო სკოლა. მამა ამ პერიოდში მუშაობდა ბორჯომის სატყეო ტექნიკურ საფბრიკო სკოლაში ინსტრუქტორად“.

— 1939 წელს სასწავლებლად თბილისის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში შევიდა, — განაგრძობს თხრობას დედა პელო, — მუყაითი, ბეჯითი ბიჭი იყო, კარგად სწავლობდა. მეორე კურსზე იყო გადასული, ჯარში რომ გაიწვიეს, მოვუმზადე ტანსაცმელი, საგზალი, სიცილით გვიმშვიდობეს ბოდა, თავის პატარა ძმას იგორს აფრთხილებდა, წყალში საბანაოდ არ ჩახვიდე, თუ გიყვარდე, თავს გაუფრთხილდიო. წავიდა, და მას შემდეგ აღარც გვინახავს.

ერთხანს წერილები მოდიოდა, გვატყობინებდა: ჩვენი ნაწილი მინსკთან ახლოს იმყოფება, აქ სიცოცხლეია და თბილები მჭირდეთ. მე ბალის ხელთათმანები გავუგზავნე. მომწერა, დედი, ნეტავ წინდები გამოგიგზავნეთ. ახლაც რომ დავფიქრდები, გული მეტკინება ხოლმე, წინდები როგორ არ გავუგზავნე, საბედრო გაზეთიც გამოგიგზავნა, აი, შვილო, თავად წაიკითხეთ.

„ორეს სპონდენტი ნიკოლოზ კრავცოვზე წერდა როგორც სამაგალითო ჯარისკაცზე, რომელიც გამოირჩევა თავისი დისციპლინით, აკურატულობით, იგი სწავლის ფრიადოსანიაო.

— დაიწყო ომი, და კოკას წერილები შეწყდა. სამი წლის განმავლობაში მისი არაფერი ვიცოდით, სად არ გავგზავნეთ შეკითხვა, მოგვდიოდა ერთი და იგივე პასუხი — უგზოუკვლოდ არის დაკარგულიო. მოგეხსენებათ, მაშინ რა მძიმე პერიოდი იყო, ყველას უქირდა, ოჯახი არ იყო, ფრონტზე შვილი ან ახლობელი რომ არ ჰყოლოდა. იმხანად აქტივისტი ვიყავი, რამდენჯერმე დეპუტატად ამირჩიეს. სამუშაოდან თავისუფალ დროს ევაკოჰოსპიტალში ვმორგეობდი, მაშინ ხომ ბორჯომის დასასვენებელ სახლებში ყველგან ევაკოჰოსპიტლები იყო მოწყობილი. დაჭრილებს ისე ვუვლიდი, როგორც საკუთარ შვილებს. რამდენი დასახიჩრებული ახალგაზრდა მინახავს, ვინ მოთვლის. გული დარდით მქონდა სავსე, მაგრამ მაინც იმედი მქონდა, იქნებ ჩემი კოკას ამბავი შევიტყო-მეთქი.

და, მართლაც, 1943 წლის შემოდგომაზე „კოკას წერილი მივიღეთ, — სამკუთხა ბარათებში ის სანუკვარი წერილი გამოარჩია და მომაწოდა: „1943 წ. 10/IX. მოკითხვა მშობლებს, ძვირფას იგორს, ევგენიას. მე ჯერ ვერ მოგწერთ, სად ვიყავი. ცოცხალი ვარ, ვიბრძვი გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. სანამ მაგათ ჩვენი მიწა-წყლიდან არ გავაძევებენ, ვიბრძოლებ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ვიმყოფები პარტიზანებთან. გთხოვთ გამომიგზავნოთ რაიკომიდან ცნობა, რომ ნამდვილად ვიყავი „კომკავშირელი. ჩემი მისამართია: სველი ფოსტა 92835, მეთაური ამხ. სტეფოვი, ბრიგადა „საბჭოთა ბელორუსიისათვის“, ამხ. პ. მ. რომანოვს, შჩორსის სახელობის რაზმი, ნ. ვ. „რავცოვი“.

ეს იყო და ეს, მეტი ოჯახს მისგან წერილი აღარ მიუღია. 1944 წლის მარტში ვინმე ნიკოლოზ პაშკოვმა პარტიზანული რაზმის სახელით წერილი გამოუგზავნა კოკას მამას. იგი იწერებოდა ნიკოლოზ კრავცოვის გმირულად დაღუპვის ამბავს. „კოლია ყველა ჩვენგანისათვის სამაგალითო მეომარი და მეგობარი იყო. მას ადრეც ვიცნ